ხელშეკრულება სააბონენტო მომსახურებაზე N LS_____S 1/01/3

ქ. თბილისი "1" იანვარ 2012წ.

ჩვენ, შ.პ.ს. "ლაუ სოფტი", მისი დირექტორის ზ. ჯანდიერის სახით, როგორც "დისტრიბიუტორი", ერთის მხრივ, და სსიპ საქართველოს ეროვნული სივნესტიციო სააგენტო , მისი დირექტორის, ქალბატონი ქეთევან ბოჭორიშვილის სახით, როგორც "მომხმარებელი", მეორეს მხრივ, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი.

1.1 დისტრიბიუტორი სააბონენტო მომსახურებას უწევს მონაცემთა ბაზის განახლების გზით სამეცნიერო-ტექნიკურ პროდუქციას – სამართლებრივ-საინფორმაციო კომპიუტერულ სისტემა "კოდექს R3"-ს 2 კომპიუტერზე

1.2 ხელშეკრულების საგნის CPV კოდია: 48610000 (მონაცემთა ბაზის სისტემა)

1.3 ხელშეკრულების გამარტივებული წესით წარმოების საფუძველია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის 3-ე მუხლის პირველი პუნქტის ს ქვეპუნქტი.

1.4 დისტრიბიუტორი არანაკლებ თვეში 2-ჯერ ახდენს სისტემის ინფორმაციულ განახლებას ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ახალი საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების მიღების შესაბამისად.

2. სააბონენტო მომსახურების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი.

2.1 სააბონენტო მომსახურების ჯამური ღირებულება 720 (შვიდას ოცი) ლარი თვეში შეადგენს 60 (სამოცი) ლარს, დ.ღ.გ.-ის გარეშე. ერთეულის ღირებულებაა 50 ლარი, ყოველ დამატებით წერტილზე 10 ლარი. სააბონენტო მომსახურებაში არ შედის სისტემის სხვა კომპიუტერზე გადატანა და ტექნიკური ან პროგრამული უზრუნველყოფის არასწორი ექსპლუატაციის გამო დაზიანებული სისტემის აღდგენა. ამ სამუშაოების ღირებულება შეადგენს 30 ლარს და ექვემდებარება ცალკე გადახდას შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტების საანგარიშწორებო საბუთების გაფორმებით.

2.2 ანგარიშსწორება:

- ✓ ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მომსახურების გაწევიდან, ანგარიშფაქტურის და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 15 სამუშაო დღის ვადაში.

2.3 ანგარიშსწორების პრინციპისა და პირობის (გადარიცხვა ან ნაღდი ანგარიშსწორება) არჩევა ხდება დისტრიბიუტორის და მომხმარებლის ერთმანეთთან ზეპირი შეთანხმებით. უნაღდო ანგარიშსწორების არჩევის შემთხვევაში, დისტრიბიუტორის მოთხოვნით მომხმარებელი გადასცემს მას მომხმარებლის ბანკის მიერ მიღებული საგადასახადო დავალების ასლს.

3. მხარეთა ვალდებულებები.

3.1 მომხმარებელი ვალდებულია მიღებული ინფორმაცია გამოიყენოს მხოლოდ საკუთარი საჭიროებისთვის, არ გადასცეს ის მესამე პირებს (ქაღალდზე ამობეჭდვით, მაგნიტურ მატარებელზე გადაწერით ან სხვა სახით) ანაზღაურებით ან ანაზღაურების გარეშე.

3.2 მომხმარებელი ვალდებულია არ დაუშვას სისტემის სხვა კომპიუტერზე გადატანა ან დაზიანება ტექნიკური ან პროგრამული უზრუნველყოფის არასწორი ექსპლუატაციის გამო. თუ მომხმარებელმა დაუშვა ასეთი შემთხვევა, იგი უხდის დისტრიბიუტორს სისტემის აღდგენის (სხვა კომპიუტერზე გადატანის) პუნქტ 2.1-ში გათვალისწინებულ თანხას იმავე პუნქტში მოყვანილი პირობებით.

3.3 მომხმარებელი ვალდებულია დისტრიბიუტორის წარმომადგენლის მისვლის მომენტისთვის (შეთანხმებული გრაფიკით) უზრუნველყოს იმ კომპიუტერის სრულყოფილი ფუნქციონირება, რომელზეც ინსტალირებულია სისტემა.

3.4 დისტრიბიუტორი ვალდებულია ხარისხიანად და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში განახორციელოს სისტემის სააბონენტო მომსახურება.

4. პასუხისმგებლობა.

4.1 მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგად გამოწვეულ რეალურ ზარალზე მთელი თანხის ოდენობით.

5. ფორს-მაჟორი.

5.1 ხელშეკრულების მოქმედება შეიძლება შეჩერდეს ფორს-მაჟორული (დაუძლეველი ძალის) გარემოებების (წყალდიდობა, მიწისძვრა, ხანძარი, გაფიცვა, სამხედრო მოქმედება, ბლოკადა, სახელმწიფო ორგანოების აქტები და ქმედებები) წამოჭრის გამო სამი თვით, რის შესახებ ორივე მხარე ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს ერთმანეთს ამის შესახებ.

5.2 დაუძლეველი ძალის გარემოებათა სამ თვეზე მეტი ხნით არსებობისას, მხარეს, რომელიც ასეთ გარემოებათა მოქმედების ქვეშ არ იმყოფება, უფლება აქვს ერთპიროვნულად სცნოს ხელშეკრულება ბათილად და ამის შესახებ აცნობოს მეორე მხარეს.

6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

6.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის 2012 წლის 1 იანვრიდან და მოქმედებს 2012 წლის 31 დეკემბრამდე. თუ ერთერთი მხარე, ხელშეკრულების ვადის დასრულებამდე ერთი თვით ადრე მეორე მხარეს წერილობით არ აცნობებს მისი შეწყვეტის შესახებ, ხელშეკრულების მოქმედება გრძელდება ერთწლიანი პერიოდებით.

6.2 ხელშეკრულების მოქმედება წყდება იმ შემთხვევაშიც, თუ დისტრიბიუტორმა შეატყობინა მომხმარებელს მომსახურების ღირებულების შეცვლის შესახებ და არ მიიღო მომხმარებლის თანხმობა მომსახურების ღირებულების შეცვლაზე.

6.3

7. კონფლიქტების გადაჭრის წესი.

7.1 მხარეებს შორის წარმოქმნილი უთანხმოებების გადაჭრა უნდა მოხდეს ორმხრივი მოლაპარაკების გზით.

7.2 იმ შემთხვევაში, თუ წარმოქმნილი უთანხმოებების გადაჭრა ორმხრივი მოლაპარაკების გზით შეუძლებელია, ისინი გადაჭრილ იქნება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. დასკვნითი დებულებები.

8.1 წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება მოიშალოს ან შეიცვალოს მხარეთა შეთანხმებით.

8.2 ხელშეკრულების მოშლა ცალმხრივად დაშვებულია იმ შემთხვევაში, როდესაც ერთ-ერთი მხარე სისტემატიურად (ორჯერ ან მეტჯერ) არ ასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს. ასეთ შემთხვევაში დაზარალებულ მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს რეალური ზარალის ანაზღაურება. ხელშეკრულება მოშლილად ითვლება დაზარალებული მხარის მიერ შესაბამისი შეტყობინების გაგზავნიდან 10 დღის შემდეგ.

8.3 წინამდებარე ხელშეკრულების ძალაში შესვლისთანავე მხარეები იღებენ ვალდებულებას ხელშეკრულების ფარგლებში მიღებული კომერციული ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვაზე.

8.4 ხელშეკრულების ხელმოწერასთან დაკავშირებით ძალას კარგავს მხარეთა შორის ხველა შეთანხმება, მიმოწერა, მოლაპარაკება, რომელიც ხელშეკრულების საგანთან იყო დაკავშირებული.

8.5 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 4 გვერდზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლიარად, ერთი ინახება დისტრიბიუტორთან, ხოლო მეორე – მომხმარებელთან.

9. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები.

დისტრიბიუტორი	მომხმარებელი
შ.პ.ს. "ლაუ სოფტი" მისამართი: გალაქტიონის ქ. N 18 ტელეფონი: 293 33 78, 599 56 06 74 E-mail: lawsoft_ltd@yahoo.com საიდენტიფიკაციო კოდი: 404393036 საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. "ლიბერთი ბანკი"-ს ცენტრალური ფილიალი. კოდი: LBRTGE22 ანგარიშის N GE89LB 011 31 84 06 06 48 000	სსიპ-ს „საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო" ქ. თბილისი, გ. ჭანტურიას ქ. №12 ს/კ №204990082 ეროვნული ბანკი ა/ა №200122900 კოდი 220101222 E-mail: i.tkhelidze@investingeorgia.org

ზ. ჯანდიერი

ქ. ბოჭორიშვილი